ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

1. პირადი ინფორმაცია

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი 30.10.2025 წლიდან

არჩევის წესი: პროპორციული

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ზოია ბალიაშვილი

თანამდებობის დასახელება: საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია - კომისიის თავმჯდომარე

ფრაქცია: ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი

კომისიის წევრობა: 1. საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე)

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის წევრი.

„ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ წევრი - მდივანი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვით განხორციელებული, მიღებული საქონლის, მომსახურების და სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიის წევრი

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენ კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდი: 2025 წლის 30 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე

2. შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს ჩემს მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ საქმიანობას ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის)შესაბამისად.

3. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

ჩატარებული სხდომების საერთო რაოდენობა: 17 სხომა

სხდომებზე დასწრება - 15 (2 საპატიო შვებულება)

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სხდომების რაოდენობა:

ჩატარებული: 3 ფრაქციის სხდომა

დასწრება: 3

ჩატარებული კომისიების და საბჭოს სხდომების რაოდენობა:

1. საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია **(თავმჯდომარე)**
   ჩატარდა: 8 კომისიის სხდომა
   დასწრება - 8
2. **საფინანსო და საბიუჯეტო კომისია**
   ჩატარდა: 9 კომისიის სხდომა
   დასწრება: 8 (1 საპატიო შვებულება)
3. **„ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ სხდომა**

   ჩატარებული: 1 საბჭოს სხდომა

   დასწრება: 1

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვით განხორციელებული, მიღებული საქონლის, მომსახურების და სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიის სხდომა

ჩატარებული: 126 სხდომა

დასწრება: 107

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენ კომისიის სხდომა

ჩატარებული: 2 სხდომა

დასწრება: 2

4. კომისიის სააქმიანობა საანგარიშო პერიოდში

როგორც კომისიის თავმჯდომარემ საანგარიშო პერიოდში ვუზრუნველყავი კომისიის 8 (რვა) სხდომის მომზადება და ჩატარება.

კომისიის მიერ განხილულ ყველა საკითხზე მოვამზადე შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომ განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინა ბიუროს და საკრებულოს სხდომას.

5. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომებზე განხილული და მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე თანხმობიის შესახ.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობით უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „ახალციხის მინიციპალიტეტის ტრანსპორტი“ - სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (ა(ა)იპ ტრანსპორტი)
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე(ა9ა)იპ კავშირი ,,თანადგომა შვილებს'')
- „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე''

- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ).
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების მიმოხილვისა და შეფასების შესახებ
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.

6. მოქალაქეებთან შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მოქალაქეებთა შეხვედრები და მათი საჭიროებების მოსმენა და შესწავლა.

მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 15

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეებთა რაოდენობა - 70

გარდა ჯგუფური შეხვედრებისა, რეგულარულად ხორციელდებოდა ინდივიდუალური შეხვედრები. მოქალაქეთა მიერ დასმული საკითხების მოგვარების მიზნით ხორციელდება შუამდგომლობა შესაბამის თანამდებობის პირებთან და საჭირო სტრუქტურულ ერთეულებთან.

მოქალაქეებთან შეხვედრებისას იკვეთება შემდეგი სახის ძირითადი საკითხები;

- სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები
- ინფრასტრუქტურა და სხვა.

7. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრის მონაწილეობა ტრენინგებში, საზოგადოებრივ კულტურულ და ოფიციალურ ღონისძიებებში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში როგორც საკრებულოს წევრმა და კომისიის თავმჯდომარემ გავიარე ტრენინგები, დავესწარი საინფორმაციო შეხვედრებს, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან ერთათ აქტიური მონაწილეობა მივიღე მუნიციპალიტეტის მაშტაბით გამართულ სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებში.

- შეხვედრა, სახალხო დამცველის აპრატის სამცხე-ჯავახეთის ოფისის წარმომადგენელთან თემაზე: აზბეტი -„ფარული საფრთხე ადამიანის უფლებებისთვის“ გარემოს დაცვა და წყლის უფლება“
- ტრენინგი ბორჯომში.
- დავესწარი სოფელ აწყურში ტრადიციულ ღონისძიებას „შემოდგომის ფესტივალი'', ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო კულტურული და სპორტული აქტივობები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელი სამზარეულო და ტრადიციული კერძები. სტუმრების წინაშე მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით ადგილობრივი მოსწავლე-ახალგაზრდები წარსდგნენ.
- ადგილობრივი თვითმმართველობისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებთან ერთად შევხვდი პედაგოგებს. ღონისძიების ფარგლებში, წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის, დაჯილდოვდნენ პედაგოგები.
- დავესწარი ,,ქალაქის მთავარი ნაძვის ხის ანთების საზეიმო ღონისძიებას''.
- დავესწარი ახალციხეში პროფესიონალური კალათბურთის გუნდი ,,ახალციხისა" და ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის შექმნის პრეზენტაციას.
- დავესწარი და გავეცანი მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ახალციხეში გლობალმედის საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმების მიერ მოსახლეობისათვის გამართულ უფასო სამედიცინო კონსულტაციებს.
- მონაწილეობა მივიღე ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებით, ახალციხეში გამართულ მასშტაბურ მსვლელობაში.
- დავესწარი ქალაქ ახალციხეში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს.
- დავესწარი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ცენტრალურ პარკში გამართულ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება.

- დავესწარი ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში გამართულ სახალხო დღესასწაულ „აწყურობას“. ღონისძიება კულტურის სახლში გაიმართა, რომლის ფარგლებშიც მრავალფეროვანი აქტივობები მოეწყო. წარმოდგენილი იყო გამოფენა „წინაპართა ნაკვალევზე“, რომელიც სოფლის მდიდარ ისტორიას, შემოქმედებით და სპორტულ ცხოვრებას ასახავდა.
- დავესწარი სტუდია „პალიტრას“ სოლო კონცერტს .მაყურებლის წინაშე სტუდიის წევრები პედაგოგთან ერთად მრავალფეროვანი მუსიკალური ნომრებით წარდგნენ.
- დავესწარი ახალციხეში გამართულ ვეტერან ფეხბურთელთა რეგიონულ საფეხბურთო ტურნირს.
- დავესწარი სოხუმის დაცემიდან 33 წლისთავთან დაკავშირებით, ახალციხეში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნაზე პატივის მიგების ცერემონიას.

წარდგენის თარიღი: 30.10.26.

ჩაბარების თარიღი: 21/X 2026წ.

ხელმოწერა: ზ. ჯალაღონია